ოქმი:**ო63. 63232194**
თარიღი:**07/08/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის გასვლითი სხდომის

ო ქ მ ი N7

ქ.სამტრედია 2 აგვისტო. 2023 წელი

მიმდინარე წლის 2 აგვისტოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ირაკლი მელაშვილის თავმჯდომარეობით, ჩატარდა განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის გასვლითი სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი მელაშვილი, გოჩა არველაძე, აკაკი მინაშვილი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი, მარიამ ბარბაქაძე, ტარიელ დვალიშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. მერის წარმომადგენელი დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში - ნუგზარ ნუცუბიძე.

2. სოფელ დიდი ჯიხაიშშის მცხოვრებნი - ნოდარ ანდრიაძე, დავით ლორთქიფანიძე, ნუგზარ მიქაძე, კობა მანჯგალაძე, ციცინო ვაშაკიძე, ვასილ არველაძე, ბენიამინ სანებლიძე, ვახტანგ ფირცხალაიშვილი, პლატონ ანდრიაძე, ალექსანდრე ლეჟავა.

დ ღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშშის N21 ქუჩისათვის ირაკლი ანდრიაძის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

2. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (9 ხმით) კენჭი

უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის წევრთა (9 ხმით) და დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, სოფელ დიდი ჯიხაიშის მცხოვრებლებს მოახსენა, რომ მათ მიერ შემოტანილი განცხადება, სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ.

ირაკლი მელაშვილი - მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ შემოტანილი განცხადება, სადაც ითხოვთ, რომ სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე N21 ქუჩას მიენიჭოს ირაკლი ანდრიაძის სახელი.

ყოველი გადაწყვეტილება, სახელდებასთან დაკავშირებით, ითვალისწინებს მოსახლეობასთან კონსულტაციას. შესაბამისად, ჩვენმა კომისიამ გადაწყვიტა ჩაეტარებინა გასვლითი სხდომა და მოსახლეობისთვის ეკითხა აზრი.

მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ განიხილა ზემოაღნიშნული საკითხი და კომისიის ყველა წევრი მხარს უჭერს ერთხმად, რომ სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე N21 ქუჩას მიენიჭოს ირაკლი ანდრიაძის სახელი.

უნდა ავღნიშნო, რომ ირაკლი ანდრიაძის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, ამიტომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" № 239 დადგენილების მე-5 მუხლის „1“ - პუნქტის თანახმად, ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

დარწმუნებული ვარ საკრებულოს ყველა წევრი მხარს დაუჭერს გამონაკლისის დაშვებას.

კომისიის წევრებმა და სოფელ დიდი ჯიხაიშის მოსახლეობამ იმსჯელა და აზრი გამოთქვა.

გიორგი ლეჟავა - ბატონი ირაკლი გახლდათ ღირსეული პიროვნება და ღირსეული დიდი ჯიხაიშელი. მადლობა მინდა ვუთხრა საინიციატივო ჯგუფს, ბატონ ნუგზარ მიქაძის ხელმძღვანელობით ასეთი კარგი ინიციატივისთვის. კომისიის ყველა წევრი მხარს უჭერს ზემოაღნიშნულ საკითხს.

დავით ლორთქიფანიძე - ჩვენი უდიდესი სურვილია, რომ N21 ქუჩას მიენიჭოს ირაკლი ანდრიაძის, იმ ადამიანის სახელი, რომელმაც სამება ააშენა, რომელიც იყო საქართველოს მშენებელთა აკადემიის აკადემიკოსი. მას უდიდესი ამაგი აქვს მშობლიური სოფელზე.

ციცინო ვაშაკიძე - მართლაც ბავშვობიდან მესმის ირაკლი ანდრიაძის სახელი. ბევრი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება გაატარა სოფელში და საამაყო ჩვენთვის ის ფაქტიც, რომ ბატონი ირაკლი იყო თბილისის პირველი მერი.

ნუგზარ ნუცუბიძე - მივესალმები და მხარს ვუჭერ, რომ N21 ქუჩას მინიჭოს ისეთი გამოჩენილი პიროვნების სახელი, როგორიც ირაკლი ანდრიაძე იყო, რითაც ზემოაღნიშნული ქუჩის მცხოვრებნი ნამდვილად იამაყებენ.

ვასილ არველაძე - პატრიარქის სიტყვებს გავიმეორებ - რომ არ ყოფილიყო

ირაკლი ანდრიაძე სამების საკათედრო ტაძარი არ აშენდებოდაო.

ნუგზარ მიქაძე - ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო როდესაც შემომთავაზეს საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელობა. გამეხარდა, რამეთუ ღირსეული ადამიანის წარდგენას მოვახერხებდი. დღეს ჩვენ ერთობლივად ვმსჯელობთ, იმისთვის, რომ ბატონი ირაკლის სახელი მიენიჭოს, იმ ქუჩას, სადაც ის გაიზარდა და დარწმუნებული ვარ ყველა მხარს დაუჭერს ზემოაღნიშნულს.

ნოდარ ანდრიაძე - უღრმესი მადლობა ჩემი ძმის ამაგის დაფასებისათვის და ბედნიერი ვარ, რომ ამ გადაწყვეტილებით ირაკლის სახელი იქნება უკვდავყოფილი.

ირაკლი მელაშვილი - მადლობა მინდა გითხრათ შეხვედრისთვის. საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვის შემდეგ ჩვენ მოვამზადებთ დოკუმენტაციას,სამთავრობო კომისიაში გასაგზავნად.

დაადგინეს: კომისიის წევრებმა კენჭისყრის შედეგად, (9 ხმით) მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი და მიემართოს სამთავრობო კომისიას.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ირაკლი მელაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი